საქართველოს ეროვნული ბანკი
რეგისტრირებულია
პრეზიდენტის აპარატის,
ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში
"2" 02 2012 №-9/28

ხელშეკრულება

საქონლის შესყიდვის შესახებ N 12

ქ. თბილისი 2 თებერვალი 2012 წელი

შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად (CPV 18512100)

ერთის მხრივ, საქართველოს **ეროვნული ბანკი აღმასრულებელი დირექტორის გიორგი მელაშვილის სახით,** შემდგომში – „მიმწოდებელი“
მისამართი: გ. ლეონიძის 3/5 თბილისი 0105 საქართველო

მეორეს მხრივს, **საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ლაცაბიძის სახით,** შემდგომში –„შემსყიდველი“
მისამართი: წმ. ქეთევან დედოფლის გამზ.N 96 თბილისი საქართველო

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ,,მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს 50 ლარის ნომინალის 15,5 გრამიანი ოქროს 1(ერთი) ცალი და 25 ლარის ნომინალის 7,7 გრამიანი ოქროს 1(ერთი) ცალი საინვესტიციო მონეტები „ოქროს საწმისის“ გამოსახულებით და ოქროს საინვესტიციო მონეტის 2 (ორი) ცალი სასაჩუქრე ყუთი.

2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

2.1.საქონლის მიწოდების თარიღად ითვლება 2012 წლის 2 თებერვალი.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. შესყიდვის საგანი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის და ნასყიდობის საგნის მიღების უფლება ენიჭება: საქართველოს კონტროლის პალატის სამეურნეო სამმართველოს უფროსს კობა არველაძეს (პირადი ნომერი 01024019038)

4.მხარეთა უფლება–მოვალეობანი

4.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

- გადაუხადოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- მიიღოს ნაყიდი ქონება.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

4.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

- გადასცეს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადაში;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

5. ხელშეკრულების ფასი, მისი გადახდის წესი და პირობები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ხელშეკრულების საგნის ღირებულება განისაზღვრება 1 (ერთ) ცალ 50 ლარის ნომინალის 15,5 გრამიანი ოქროს საინვესტიციო მონეტაზე „ოქროს საწმისის“ გამოსახულებით 1670.03(ათასექვსასსამოცდაათი ლარი და სამი თეთრი) ლარის ოდენობით და 1(ერთ) ცალ 25 ლარის ნომინალის 7,7 გრამიანი ოქროს საინვესტიციო მონეტაზე „ოქროს საწმისის“ გამოსახულებით 835.02(რვაასოცდათხუთმეტი ლარი და ორი თეთრი) ლარის ოდენობით. (ლონდონის ძვირფასი ლითონების ზოდების ბაზრის ასოციაციის მიერ დადგენილი ფასის შესაბამისად, საინვესტიციო მონეტებზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2012 წლის 2 თებერვალს განსაზღვრული ფასის მიხედვით) და 1 (ერთ) ცალ ოქროს საინვესტიციო მონეტის სასაჩუქრე ყუთზე 7.47 (შვიდი ლარი და ორმოცდაშვიდი თეთრი) ლარის ოდენობით.

5.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2519.99 (ორიათასხუთასცხრამეტი ლარი და ოთხმოცდაცხრამეტი თეთრი) ლარს, მათ შორის 1 (ერთ) ცალ 50 ლარის ნომინალის 15,5 გრამიანი ოქროს საინვესტიციო მონეტაზე „ოქროს საწმისის“ გამოსახულებით 1670.03(ათასექვსასსამოცდაათი ლარი და სამი თეთრი) ლარის ოდენობით და 1(ერთ) ცალი 25 ლარის ნომინალის 7,7 გრამიანი ოქროს საინვესტიციო მონეტაზე „ოქროს საწმისის“ გამოსახულებით 835.02(რვაასოცდათხუთმეტი ლარი და ორი თეთრი) ლარის ოდენობით და 1(ერთ) ცალ ოქროს საინვესტიციო მონეტის სასაჩუქრე ყუთზე 7.47 (შვიდი ლარი და ორმოცდაშვიდი თეთრი) ლარის ოდენობით.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. საქონლის ღირებულების გადახდა მოხდება ლარებში უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება სრულად, საქონლის მიღების შემდეგ 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0,2 პროცენტის ოდენობით.

7.2.გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0,2 პროცენტის ოდენობით.

7.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, „მიმწოდებელს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად, თუ შესრულების შეფერხება ან ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოებების შედეგი.

8.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს–მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რაც შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომის, სტიქიური უბედურების და სხვა მსგავსი მოვლენებით.

8.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

8.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა სადაო საკითხი გადაწყდება მოლაპარაკების გზით.

9.2. მხარეებს შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და ძალაშია ვალდებულებების შესრულებამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხარეთა მიერ წერილობითი ფორმით გაფორმებული შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11.2. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„მიმწოდებელი“	„შემსყიდველი“
საქართველოს ეროვნული ბანკი	საქართველოს კონტროლის პალატა
ქ. თბილისი, ლეონიძის 3/5	ქ. თბილისი წმ. ქეთევან დედოფლის გამზ.N96
ს/კ 203 824 148	ს/კ 202 051 956
საქართველოს ეროვნული ბანკი	სახელმწიფო სახაზინო კოდი 220101222
ბანკის კოდი BNLNGE22	ა/ა 200122900
ა/ნ GE09 NB02 5010 0706 9034 03	
გიორგი მელაშვილი	გიორგი ლაცაბიძე
აღმასრულებელი დირექტორი	თავმჯდომარის მოადგილე